საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის წევრი

№ 21767
19.12.2018

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად წარმოგიდგენთ წერილობით დასაბუთებას საქართველოს პარლამენტის წევრების ირაკლი მეზურნიშვილისა და ოთარ დანელიას მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი კანონპროექტის „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ (N07-3/260/9) დაჩქარებული წესით განხილვის დაწყების თაობაზე.

კანონპროექტის დაჩქარებული წესით მიღება განპირობებულია სესხის გამცემ სუბიექტებთან მიმართებით, საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის ვალდებულების კუთხით, მათთვის საშეღავათო პერიოდის დაწესების აუცილებლობით. სესხის გამცემ სუბიექტთა ინტერესებისა და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ორგანული კანონის მოქმედი რედაქციის შესაბამისად, სესხის გამცემი სუბიექტი 2019 წლის 1 იანვრიდან ხდება ვალდებული რეგისტრაცია გაიაროს საქართველოს ეროვნულ ბანკში და დააკმაყოფილოს ამ კანონის და მის საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მოთხოვნები, აუცილებელია აღნიშნული ცვლილების 2019 წლის 1 იანვრამდე განხორციელება ერთის მხრივ იმ მიზნით, რომ სესხის გამცემი სუბიექტთა ის კატეგორია, რომელიც მხოლოდ სესხის დაფარვა/ამოღებასთან დაკავშირებული ოპერაციებს ახორციელებს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის წინაშე არ დადგეს და ასევე არ შეექმნას სამართლებრივი პრობლემები სესხების ამოღება/დაფარვის კუთხით, ხოლო მეორეს მხრივ, ყველა სესხის გამცემი სუბიექტს სარეგისტრაციო დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარდგენის ვადა განესაზღვროს 2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 30 აპრილამდე.

თუ აღნიშნული ცვლილება არ განხორციელდა 2019 წლის 1 იანვრამდე, პირებს, რომელთა მიმართ 20-ზე მეტ ფიზიკურ პირს აქვს სასესხო/საკრედიტო ვალდებულება, მიუხედავად იმისა, სესხებს გასცემენ თუ არა, 1-ლი იანვრიდან ექნებათ ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის კანონისმიერი ვალდებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი საქმიანობა ვერ იქნება კანონთან შესაბამისი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა და მიღება აუცილებელია.

პატივისცემით,

ირაკლი მეზურნიშვილი ----------

ოთარ დანელია ----------